ოქმი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს **რიგგარეშე** სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 28 ივლისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 15:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 ივლისს შემოსული სენაკის მუნიციპლიტეტის მერიიდან მომართვა №:40-402520967 (სარეგისტრაციო №12-41252091-41) დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, სადაც მოთხოვნილია წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მ/წლის 29 ივლისს უკვე დანიშნულია საკრებულოს სხდომა მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტი დაემატოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისს ჩასატარებელ სხდომის დღის წესრიგს.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

შეტანილ იქნეს ცვლილება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ 2025 წლის 22 ივლისს შედგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში. კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 2025 წლის 29 ივლისს განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

3. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ სამსახურის 2025 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

4. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

5. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

6. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

7. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2025 წელს პირველი და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

8. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

9. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან უჩანეიშვილი